

# თეატრი

საქართველ-კვირათ. სალიტერატურო. და სამხატვრო გაზეთი

1889 წელსა

№ 5

იანვარი 29

გაზეთი ღირს: ერთს წლ. 5 მან.,  
ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე №-15 კ.  
ხელის მოწერა მიიღება: თბილის-  
ში რედაქციის კანცორაში. Тиф-  
листь, въ редакцію газеты  
„ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება:  
თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მა-  
ღაზიაში და ბებუოვის სააგენტოში.

რედაქცია არა კისრულობს წერი-  
ლების უკან გაგზავნას და მათ  
შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავ-  
ნილ წერილებს უნდა ჰქონდეს მო-  
წერილი სახელი, გვარი და ად-  
რესი დამწერისა.

გაზ. „თეატრი“-ს რედაქციისაგან.

ამ წლის ხელის მოძვერთ, დაპირებული სახანა-  
წლო საჩუქარი, ოლეოგრაფიული დიდი სურათი, „თა-  
ძარ დედოფალი“, გაეგზავნებათ ქრისტეშობისთვის.

ხელის მოსაწერ ფულის შემოტანა შეიძლება წვრილ-  
წვრილად: პირველ თვეში-2 მ. და დანარჩენი — თვეში  
ერთი მანეთი,

## ახალი ამბები.

შეგაზეთებებს მოესხენებათ, რომ რკინის გზასკად მოსამსა-  
ხურემ, ვლადიმერ ვიტოლდოვიჩ გრაზოვსკიმ, საადგილ-მამულა  
ბანკში იყიდა სახლი ფეონა ჩისტიაკოვისასი. ისიც მოესხენებათ,  
რომ ამ ცოდო-მადლის მეოღნემ — გრაზოვსკიმ, „სტესუნია“ ახ.



სამოცდა ათი თუძანი ნაღდი ფული და ოცდა რვა თუძის ვაჭ-  
სილი, ეჭვისი თვის ვადით, გამართო ჩისტაკოვისას და დაუბ-  
რუნა სახლები. ესლა, როგორც შევიტყუეთ, რკინის გზის გამტა-  
ობას გაუგია ეს ამბავი და ჟიროვანს ადგილას წარუდგინა  
შემდეგი პრაქტიკა:

რადგანაც რკინის გზა საკომერციო საქმეა, ამიტომ  
კომერციულს ნიჭს პირველს ადგილს უნდა ვაძლევდეთ. ჩვენ-  
ში ესლა იზინა თავი ბენმა გრანბოვსკიმ. ეს კაცი გატანილი  
ყოფილა არამც თუ მარტო ნიჭით, გულკეთილობითაც: ამ კაცმა  
იქიდა სახლი ჩისტაკოვისასი და „ატსტუშნოი“ 1980 მ. გა-  
მართვა. თუქცა, თავისი გულკეთილობით და კაცთ-მოუყარობით  
მეტსაც გამართმევდა, მაგრამ ჩისტაკოვისას მუტი აღარ მოუ-  
ქენებოდა. ამისათვის ამ კაცს კარგი ჯამაგირი დაუნიშნათ და  
მივკეთ ადგილი „материальная служба“-ში. იქ უფრო, სა-  
ნამ სსვკან სადმე, გამოიჩინა თავს ეს პაციოსანი კაცი და...  
იმის ნიჭს მიეცემა გზა ფართო ამაზკად ამბობენ რუსები: „ით-  
ხარე ვის იცნობ და მე გატყუე ვინცა სარო“.

ჩვენს მოკალეობათ ვრაცხთ ამ გამოჩენილის პირების სურა-  
თები გაუგზავნათ ხელის მომწერთ.

ამ დღეებში ჩვენ ვიზოვით ერთი მეტად საყურადღებო გა-  
რანადინი. ეს გარანადინი არის დაწერილი ერთის თბილისელ მე-  
გაზეთასაგან — სსვისა აБЛИЧИТЕЛЬ-ისაგან შედგენილი, და შიგ  
ბეკრი რეცეპტების მოხსენებელი. აი, ორი მათგანი:



„უკეთუ გენებოს ფულის სესხება — ისესხე... ვექსი-  
ლით და, როდესაც შენს თამსაქს შეუსრულდეს ვადა  
და გთხოვონ ნესესხები, მიწვიე შენი მოკალე, ფული ამოიღე  
ვითომ და ვექსილის დასახსნელად და როდესაც მოკალე ვექსილი  
ამოიღოს — წაგლიჯე ხელე და მირში ივარ — ჩაგლიჯე. იმით  
შენს გუჭს საზრდო მიემატება და ჯიბეს ქონია“.

„თუ გინდა, რომ მეგაზეთობით ფული მოიგო, შექვერ  
რომილსამე რედაქციაში და ჩააცივდი ვისმეს მდიდარს: ემუჭრე,

შენზე ამას დაწერ, შენს ცოლზე იმასათჳა და თავმოყვარე მდიდარი გასამრჯელოს მოგცემს; არამც და არამც 300 მანათზე ნაკლები არ აიღო, თორემ შერცხვები“.

ცოტა არ იყოს კარგად ვერ არის შედგენილი ეს რეცეპტები და შკითსკელს გაუძნელდება გაგება, ამისათვის გვცდებით დავხატოთ თუ რა რიგ სარგებლობებს ამ აღწერად რეცეპტებით.

ნამდვილ წყაროებიდან შევიტყუთ, რომ იბეჭდება და ამ ცოტას ხანში გამოვა შეტად საინტერესო წიგნი: ზნეობის განხილვა და ოცდაათის თუთხის გავლენა მათზე. ამ წიგნში სსკათა შორის, მოსსენებული იქნება: 300 მანათს შეუძლიან თუ არა *ОБЛИЧИТЕЛЬ*-ს ენა დაუბას და კალამს წვერი მოუტყოს?

### გვწერენ:

ქუთაისიდან. აჭაურმა ჩინოვნიკობამ იგრძნო სისუსტე ბესლობაში და დაუღოცა ბურთი და მოედანი ერთს თბილისელს გაზეთს. როგორც ხეობა ისმის ეს უკანასკნელიც ჰატიონასს სიტყვას იძლევა უაღრესს წერტილამდე აიყვანოს ეს სადიდებელი საქმე“.

არ ვიცი რამდენად მართალია ეს ამბავი.

თელავიდან. „თუმცა თელაველები წინააღმდეგნი ვიყავით, არ ვაფასებდით აჭაურს „უმწიფელ-კაცობას“, მაგრამ ესლა იძულებულნი ვართ თავი მოვიდრეკოთ მის წინაშე. ჩვენი უმწიფელ-კაცობა“ სხვასავით მყვირალა არა უოფილა, ჩუმიად უშრომიან. თავის ნაშრომს ამ ცოტას ხანში გამოაქვეყნებს დაბეჭდავს. ნაბეჭდს ერქმევა სახელად: „ფილოსოფიური გამოკვლევა“. ამ წიგნში იქნება დამტკიცებული, რომ უურნალ-გაზეთობის გითხვა კაცს თვალებს უფუჭებს, ტვინს უწყაღვინტილავებს, ასულებებს; ხანჭოს, იარაღაშის, და მებრვე სხვა ღაშის თამაში კი კაცს გონებას უხსნის და... აბედნიერებს“.

მოვიცდით, რათა ვისმინოთ ხმა თელაველ მსწავლელებისა.

გორილამ. „ჩვენ თუ არ ვაჭარბებთ სხვა ქალაქების და დაბასოფლების „ხაღ-თაბას“—არც ჩამოვურჩებით. ყველას ჩვენგანს უღვივის გულში სიყვარული მამულისა და მისი წინმსვლელობის სურვილი; ამისათვის ვერ შეგვიერთებულვართ და წარმოდგენები ვერ დაგვიწყვია, თუმცა სასლიტ გვაქვს, დეკორაციებიც და პიესებიც“... შე რომ სამხედრო სამსახურის კაცი ვიყო, ამ სიტყვების შემდეგ ვიტყოდი: ბრავო, ბრავო „СТОЛЫ ОТЕЧЕСТВА“!!!

### ქართული თეატრი

#### არ გურჩევთ:

საუ-ბაზმიძისას.—მასწავლებელ-ქალის როლის თამაშობას („მეორედ გაემაწვილება“), „თამარის“ როლისას („თამარ ცბიერი“) გამყრელიძეს—„გოჩას“-სას („თამარ ცბიერი“); უმაწვილი კაცისას (შვილისას)—„მეორედ გაემაწვილება“.

კომიტეტს.—„თამარ ცბიერი“-ს და მებრვე სხვის დადგმას, როდესაც ღონე არ შესწევთ და აქტიორები როლებს ვერ დაისწავლიან.

გუნიას.—კომიკურის როლების თამაშს.

#### გურჩევთ:

გუნიას. გურულის როლის თამაშს („თამარ ცბიერი“) დასს.—როლების დასწავლას და პიესების შინაარსის შეგნებას ერთმანეთის შემწეობით მაინც, თუ რეჟისორს არაგაკეგება რა პიესების შინაარსისა.

## ჯი ს ვ ი

(მიბაძე რაფიელისა)



ჯი ს ვ ი ს თქვა: შავი კლდე მიუყარს,  
 შავს კლდეზედ დავიარები,  
 მასეღ ვსტი, მასეღ ვნავარდობ  
 ავდარია თუ დარები.

არ გავცვლი შავსა კლდეს ბარად,  
 მთადაც ამიგონ ლალები,  
 არც მოვშლი მასეღ ნავარდსა,  
 თუნდც ამესვიოს თვალები,

ჩემი სამშობლო ქვა-კლდეა,  
 მუდამ იქ დავიარები,  
 იქა ვშობილვარ, იქ მოვკვდები,  
 იქ დაღწეს ჩემი ძვლები!

მე შელხ არ ვარ წანწალხ,  
 დავიწყო აქ-იქ ყიალი,  
 ქურდულად ლუკმა შევჭამო  
 და ყველამ მითხრას ტაღი-

არცა მკელი ვარ მსუნაგი,  
 მოერთო კარის-ვარ სეტება,  
 მე იმას შევჭამ რაც ჩემთვის  
 სამშობლოს გაემეცება.

არც სსვა ვინმე ვარ, სამშობლოს  
 ვარჩიო სსვის მთა გორია,  
 სსვაგან მოკვებო საჭმელი  
 მუცლისთვის გავსდე ღორია.

და თუ გაყვიდო სამშობლო,  
 გამისკდეს მიწა წამსედა,  
 დავიფლხა შეუბრალეზად  
 მესიღ დამეტეს თავსედა...



ჩემი სამშობლო ქა-კლდე  
 მუდამ იქ დავიარბი,  
 იქ კშობილვარ იქ მოკვდე,  
 იქ დაღვეს ჩემი ძვლები.

ზაყელი.

### ცხოვრება და თეატრი

(ქართული დრამატიული დასი).  
 (დასასრული)

ახრი დრამატიულ საზოგადოებისა, როგორცა ესთქვით, ის იყო, რომ წესიერებაში მოეყვანა ქართული თეატრი და შეედგინა მუდმივი დრამატიული დასი.

თუ კი ჩვენი კომიტეტი იმდენს უნაჩს გამოიჩინდა, რომ ყოველს აქტიორსა და აქტრისას ჩაუდებდა გულში უმაღლესს იდეალს ადამიანობისას, შეაყვარებდა საქვეწო საქმეს იქამდე, რომ ამ საქმესთან დაავიწყებინებდა ყოველს წვრილმანობას, პირადობას, შეაზიზღებდა საზიზღარს ურიგობას და უმართებულობას, —ჰო, თუ კი ამისთანა ფხას გამოიჩინდა, მეტი ბედნიერება აღარ უნდოდა ჩვენს თეატრს. მაშინ ყოველი აქტიორი თუ აქტრისა პირველად იქნება ადამიანი, შემდეგ საამაყო მამულიშვილი და ბოლოს პატივსაცემი ჯენტლმენი; იგი მთელის თავის არსებით სამსახურს გაუწყვედა სცენას და საკუთარის მართებულობით ასწევდა ცალკე თვით ამ საქმეს და ცალკე ზნეობას საზოგადოებისას; სინიღისიერათ მოეპყრობოდა თავის მოვალეობას და ჩვენი თეატრი გარდიქმებოდა ისეთს დაწესებულებათ, რომელიც მკვიდრს ბინას ვაიკეთებდა ქართველ ხალხის გულში, მიიზიდავდა მაყურებელს და უხვათაც დააჯილდოვებდა ყოველს მოღვაწეს სცენისას. ამაზე უკეთესი, სანატრელი ამბავი არა იქნებოდა-რა ქართულის თეატრისათვის, და მთელი ჩვენი დრამატიული

კომიტეტი თავის რეჟისორითურთ სწორეთ ხელით-სატარებელი იქმნებოდა ყველა ჩვენგანისაგან.

მაგრამ რამდენათაც სასურველია ყველა ეს, იმდენათ ძნელი და სავალაზოა ამისი აღსრულება. საქმე ის გახლავთ, რომ აქ მართო განზრახვა და სურვილი როდი კმარა, რომ აისრულო გულის პასუხი. ცალკე კაცი, თუ მთელი ამხანაგობა იმისთანა საქმეს უნდა შეეჭოდოს, რომელიც შესაძლებელია, მოსახერხებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მეცადინეობა ცარიელი წყლის-ნაყვა გამოვა და სხვა არაფერი. წყლის-ნაყვა კიდევ, ხომ მოგვხსენებთ, მეტად სასაცილო ხელობაა უსაქმურის კაცისა.

შეუძლებლობა ამ საქმისა, ვამბობთ გულის ტკენით, იმისი ბრალია, რომ ეხლანდელს რეჟისორს სრულებით არა გაეგებარა თავის მოვალეობისა, სრულიად უფიცია თეატრის საქმეში, ამის გარდა ჩვენი არტიტები სხვა ყაიდაზე არიან აღსრდილნი. უმეტესი მათგანი მართო არტიტია, იცის თავისი ხელობა, ეყურება სცენა, ხოლო კაცობისა, ადამიანობისა, მართებულობისა, მამულისშვილობისა მეტად ბუნდი წარმოდგენა, ძალზე სუსტი გაგება აქვს. ამას მე საწყენათ კი არ ვამბობ, არამედ სიმაართლის დასადგენათ. ნაცნობისა თუ უცნობის გაბიაბრუება, გალანძღვა და გათრევა ჩალის ფასად არ უღირთ. ერთი უბრალო და სამართლიანი შენიშვნა საკმარისია, რომ ჩვენმა არტიტმა დაივიწყოს თავისი მოვალეობაც, რიგიანობაც და თვით თეატრის საქმეც.

ასეთი საუბედურო ზნე ჩვენის არტიტებისა წინათვე იცოდა როგორც დრამატიულმა საზოგადოებამ, აგრეთვე მისმიერ ამორჩეულმა კომიტეტმა თავის რეჟისორითურთ და მაინც მოჰკიდა ხელი თეატრის საქმეს. ეს სწორედ გამომეტება იყო თავისა, იყო მსხვერპლი, მიტანილი სადიდებელათ ჩვენის თეატრისა. მაგრამ შეუდგა თუ არა კომიტეტი საქმეს, იმ თავითვე დაივიწყა ეს მსხვერპლი და დააღვა ისეთს გზას, რომელიც არა თუ გამოაკეთებდა ჩვენს არტიტებს.

პირიქით უფრო ცუდს ფერს მისცემდა მათს გაუწვრთნელობას. აქტიორმა შეუბრუნა სიტყვა რეჟისორს და უკანასკნელიც გაწიწმატა, შეფხუკიანდა, თავი გამოიღო, თითქო არ ელოდებოდა ჩვენის არტისტებიდამ ასეთს საქციელს. აქტიორმა შეურაცხყოფა მიაყენა აქტრისას, რეჟისორი კომიტეტითურთ შეხტა და შემოტრიალდა—როგორ თუ ასეთი უზრდელი მოპყრობა ქალის მიმართო! ეხლავ ან ბოდისში მოიხადე; ან არა და—შენს ღლეში აღარ გათაჟაშებთ ჩვენს დასშიო! მე ხელს მოვიჭრი და მაინც ვერ მივემხრობი ვერც იმ არტისტს, რომელიც მარტო სულელურის თავხედობით უბრუნებს სიტყვას რეჟისორს, და ვერც იმას, რომელიც აზიამბრუებს აქტრისას; მაგრამ აბა რა საკადრისია, თქვე კაი-კაცებო, ასეთი განაჩენი: ან ბოდისში მოიხადე, ან ჯანდაბას დაიკარგეო. დანაშაულის შემცნება და ბოდისის მოხდა კაცს უნდა მიაჩნდეს თავისს წმინდა მოვალეობათ, რომლის აღსრულებას თითონვე უნდა ეშურებოდეს. ძალდატანებითი ბოდისის მოხდა თავის-თავის მოტყუებაა, მეტი-კი არა. აბა, მოდით თქვენა და ჯენტელმენობა მოსთხოვეთ ქალის მიმართ აქტიორს, რომელიც თავისს ლექსიკონში კინტოურ სიტყვებისა და გინების მეტს ვერასა ჰპოულობს!.. ეს მტკნარი სისულელეა და წყლის ნაყვა, სხვა არაფერი. ამისთანებით ფონს ვერ გავა ჩენი უბადრუკი თეატრი. გინდა კიდევ ძალა დაატანოთ და ბოდისში მოათხოვინოთ, ხვადი, ზეგ და მუდამ დღე უარესს იზამს ასეთი გიუწვრთნელი და გაკინტოებული აქტიორი.

მაშ რა ექნათ და რა წყალში ჩაეცვივდეთო—იკითხავთ? ჩვენის აზრით, ეს საქმე ხელიდამ წასულია. ხანგადასული მუტრუკი გაუთლელი ვირია და ამ უკულმართ დროებაში კეთილშობილ ცხენათ ველარ აქცევს თვით ზევესიც. სცენი-დამ გაგდება ნიჭიერის არტისტისა ჩვენვე ჩაგეკრავს თავში და ანებს თვით თეატრს. მეტი გზა არ არის, რაკი მართებული არტისტი ასე იშვიათია ჩვენში, უნდა უმართებულო



არტისტი შევიფეროთ. დასჯით საქმეს არა ეშველებარა. ეზ-  
 ლანდელს რეჟისორს, უნდა ჩამოერთვას ყოველივე უფლება  
 აქტიორისა თუ აქტორის დათხოვნის სცენადამ. მან უნდა  
 იკისროს მხოლოდ ისა, რომ არტისტებმა შეისწავლონ თავ-  
 თავიანთი როლი. თუ აქტიორის ცუდი ქცევა ვერ აუტანია,  
 თავი დაანებოს თავისს მოვალეობას ამიტომ, რომ აქ საქმე-  
 რა თავის განწირვა, მსხვერპლი; რაკი ითავა საქმე, უნდა  
 წინათვე ელოდოს მრავალ უსიამოვნებას, რომელიც შეძლე-  
 ბისამებრ უნდა აიტანოს ან, შეუძლიან, იშუამდგომლოს  
 კომიტეტის წინაშე დასჯა არტისტისა, მეტი არაფერია. თუ  
 აქტიორები ერთმანეთს აწყენინებენ რასმე, თითონვე მო-  
 რიგდებიან როგორმე, თუ მართლა ნიჭსა ჰგონობენ და  
 უნდათ სამსახური. ჯარიმა მხოლოდ მაშინ გადახდებინოს,  
 (ხოლო რეჟისორმა კი არა, კომიტეტმა), როდესაც არტისტს  
 არ ეცოდინება როლი.

გამრუდებულ ხის გასწორება არ შეიძლება იმითი, რომ  
 ხეს მოუსპო საზარდო. ესეთი პოლიტიკა შემცდარია. წელს  
 ახალი არჩევანები იქნება კომიტეტსა წევრთა. დრამატიულმა  
 საზოგადოებამ უნდა ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ  
 არც ერთს ნიჭიერ არტისტს არ დაეხმოს თეატრის კარი,  
 იმიტომ რომ რაც უნდა დიდი ნაკლულევენება ჰქონდეს,  
 ნიჭი გაცილებითა სჯობია უნიჭობას თეატრის საქმეში. სა-  
 ზოგადოებამ უნდა დაევალოს ახალ კომიტეტს სხვათა შო-  
 რის ის უპირველესი საქმეც, რომ ხელახლათ მოიწვიოს  
 განძვეებული ალექსი-მესხიშვილი, რომელიც ასე აუცილე-  
 ბელია ჩვენის სცენისათვის.

უცნობი.



## დათუმა დაქორწილა. \*

კომედია ერთ მოქმედებად.

(გაგრძელება).



იზინივი, ლილიას ბარდა.

ლილია. ბიძა ჩემო, მე დიდხანაა გითხარით, უკა დასქმულია-მეთქი. სომ არა გსურთ, რომ მეორეჯერ გატოვდეს და მე კიდევ დამჭირდეს რბენა სამსარეულოში?

სე. ანდრ. თქვენ, მაწყალო სელმწიფეკ...

ლილია. დაქსენით ერთმანეთთან დაუას... სომ დამისხნა დათვისაგან და სულ ერთი არ არის განა, როგორ დამისხნა?

ბარსოვი. რასაკვირველია.

იე. ანდრ. მაგრამ ის ტუეის, სულაჯან, ნუ თუ შენ ვეჭა ჰქედავ, რომ ტუეის, — არავითარი დათვი არ ყოფილა.

ლილია. მე თვითონ ვნახე...

იე. ანდრ. ტუეის!

სე. ანდრ. ივანე, განა მაგისთანა მკვასე სიტუეები, რომ არა სთქვა, არ შეიძლება!.. (ლილიას) შენ არ გინახავს, — ეს იმან მოგატუეულია, რომ შენ ნახე...

\*) ვინც ვი ზ. (მარეებით) გამოგზავნის გაეგზავნება წარსულის წლის ნომრები, რომლებშიაც ეს პიესა იყო დაბეჭდილი. რედ.

ივ. ანდრ. ან რა მონადირეა? „მურზავეკა“ არაფერი იცის, თოფზე ეგრეთვე... საფანტის ნომრებს ურქვს...

ბარსოვი. მე ჩემი სისტემა მაქვს...

ივ. ანდრ. გვინდა რა ცუდი აქვს; ბარსოვი; ეს ხომ მსუცია: ვუფსვი...

სვ. ანდრ. მოწყალე ხელმწიფე! — თქვენ შეურაცხველით ჩვენი დისწული...

ლილია. სრულიად ანა, ბიძა ჩემო...

ივ. ანდრ. (თავისთვის) საშინელი გაიძვერა!

სვ. ანდრ. (გაჭაკრებით) ივანე! (ლილიას) შენ არ იცი, ჩემო საყვარელო... შენ იცი, რომ მან შეურაცხველი შენი სახელი?... უკვლავი ტყუილია, რაც კი წამოიღო შენ შესახებ... წაბრძანდით, მოწყალე ხელმწიფე, წაბრძანდით!.. ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ დაუსჯელად მიდინართ ჩვენგან.

ივ. ანდრ. წაბრძანდით, თორემ მე თქვენ საქმით გინებებთ, რას ვინაშნავს ცენტრალური თოფი და საფანტო მეთარმეტე ნომრისა.

ლილია. ბიძა ჩემო, ბიძა ჩემო!! (ჩუმად ბარსოვს) წადით, მაგრამ აქ სადმე ანლო-მანლო იყავით, მე ჩქარა დაგაბრუნებთ ისევე აქ.

ბარსოვი. თქვენი ნება იყოს... მშვიდობით... მე თვითონ არ მოვსულვარ აქ - მე თქვენ მომიწვიეთ და თუ ესრეა, — მშვიდობით... მაგრამ რაც შეეხება დათვს, უკაცრავად ბრძანდებოდეთ... მე თქვენ მოგითხრობთ არამც თუ რომელიმე უბრალო დათვზედ, ursus arctos, არამედ, რომელზედაც გნებავთ: ursus cadaverinus... ursus formicarius... (სასოკადა მოძრაობას) მიკვირ... (ჯადის).

VII

ივანივე ბარსოვის გარდა.

ივ. ანდრ. ის მატყუარა, ისა!... (ლილიას) სანდ გამონახე ამისთანა გაიძვერა კაცი?

სვ. ანდრ. ძაძი! არაფერსა ჭკავს ამდენი უსრდელი, უგვა

ნო სიტყვები!... იჭვი არ არის, რომ ის უნებორივ დატყუებული კაცია, მაგრამ ამისთანა უზრდელო სიტყვები რაღაა.

ივან ანდრ. კოვსებს სომ არ აკვლია? იმან უკვა დალია...

ლილია. როგორ არ გრცხვენიათ, ბიძა ჩემო! როგორ არ გრცხვენიათ?.. იმას-კი არ მოუყენებია ჩემთვის შეურაცხყოფა, თქვენ შეურაცხყოფით, თქვენ... მე გამბედავ ეს შემთხვევა და თუ ის სტუდის, მაშასადამე მეც ტყუილს ვამბობ... და მაშასადამე თქვენ არ გებრძობათ ღილი! ნეტავი მოკვდავნი დათვს, ღმერთმა მშვიდობა მოგვცეთ! მაშ ამას იქით ქვეყანასკვდა არავინ არ შეიძლება მას-ღობელი და არავის არ ვუყვარვარ... (დაჟდება და ტირის).

ივან ანდრ. ლილეჩკა... ახ მე კიდევ გამშკვალა...

სვ. ანდრ. მომიტმინე... ღილია მართალია... ესენი ორივენი ირეოდნენ და არა მარტო ის... ესეც... არა, აქ რაღაც იმაღლება... წადი შენ და დამტოვე მე ამასთან მარტოდ...

ლილია. (თავისთვის) ნეტავი რაზედ უნდა თათბირობდნენ?

სვ. ანდრ. დამაცადე, მე გამოკვიტისავ ამას ვეკვლიყვარ...

ივ. ანდრ. კარგი... შენ ჯერ დანაშვიდე, მერე ალანარაგე ნელ-ნელა... სომ იცი როგორ... რაღ უნდა სთქვა შენ, მაგრამ ის მაინც ჰლუტია... შერჩავკავსკვა არაფერი იცის, — ერთი მითხარით, რა კაცი უნდა იყოს? (გადის).

## VIII

სვიმონ ანდრეიჩი და ლილია.

ლილია. (თავისთვის) ამით რაღაც შეთქმულობა აქვთ...

სვ. ანდრ. შენ სტირი?

ლილია. რაღა ვიტრო? — სულ ერთია... ჩემთვის ძლიერ სათაკილო და საწვევია, როდესაც მე არ მერწმუნებიათ; მე წარმოგიდგინეთ კაცი, თქვენ-კი ასე მოქმედით...

სვიმონ ანდრ. შენ გსურს, რომ გერწმუნოთ?

ლილია. რასაკვირველია...

სე. ანდრ. კარგი, მე ვეკლავიერს დაგიჯერებ... ხოლო შენ მარტო სიმართლე უნდა მითხრა... ვეკლავიერი მართლად, სწორედ, როგორც იყო...

ლილია. (თავისთვის) ეს-გი ძნელია... არა, საქმე ცუდად მიდის, ცუდად... (ხმა მალდა) მე, ბიძა ჩემო, იცით... როგორ მიუყარსართ ორივენი!—გაგიჟებით მიუყარსართ... და თუ მე რამეც ჩავიდენ ხოლმე ეს სულ თქვენდამი სიყვარულით აიხსნება:.. მაგრამ, ბიძა ჩემო, ან-გი ვინ უნდა მიუყარდეს?.. თქვენ ორივემ აღმზარდეთ მე, ჩემო საყვარელნო... (მოესპევა) ყავა-გი და-ტკვიწყდა? სად წავიდა ბიძა ჩემი ვანო? მე დავუძახებ...

სე. ანდრ. მოიცა, მე უფრო საყურადღებო რამ მიტრიალვებს ესლა თავში.

ლილია. (თავისთვის) გადაშევიდა და ხომ ვერას გზით ვერ მოვიშორებ.

სე. ანდრ. შენ მე მართალი მითხარი და დაგიჯერებ .. ხო იმ დათვის შესასებ... მართლა შემოგსკდა დათვი?

ლილია. ეს სულ... რასაკვირველია შემომსკდა... (ღიმილით) მაგრამ მართალი მოგასხენოთ... მე შემეშინდა... მე ძლიერ შემეშინდა ტყეში, როდესაც პირველად დავინახე..

სე. ანდრ. დათვი?

ლილია. არა, დათვი-გი არა... აი ის... შაველ თეოდორინი... მე პირველ წუთს ვერც ვი მოვისაზრე, როგორ მოხდა ეს...

სე. ანდრ. როდესაც იმან თოფი გაისროლა?..

ლილია. ვინ გაისროლა?..

სე. ანდრ. აი იმან... შაველ თეოდორინი თუ ვილანტ...

ლილია. რასაკვირველია შეგეშინდება... როდესაც ისერიან... მოულოდნელად... ან რა... ყავა არ გინდა? ჭო, მართლაც, მართლაც, შენ არა სთქვი არ მინდაო... შენ გსურს სერიოზულად ილა-შანაკო, მეც ძლიერ მოხარული ვარ ამისა... მე მიუყარს შენთან სერიოზულად... რადგანაც ეს ყოველთვის... რასაკვირველია... ეს საჭიროა... მაგრამ ვრცლად ლაშანაკი რა საჭიროა?.. უკველია, ყოველი ეს...



სე. ანდრ. ლილეჩკა... თუ კიდეც ეგრე განაგრძობს ლაზარაკს, ვერა ადამიანიშვილი ერთ სიტუვას ვერ გაიგებს შენსას.

ლილია. რათ გინდა, რომ უკუკვლად უოკელისებური მართლად გითხრას.

სე. ანდრ. როგორ?

ლილია. განა ესე ადვილია მართლის თქმა?... ჰქენი სიკეთე, ჰქითსე ვისმეს... ჰქითსე, ჰქითსე... დეე, გითხრან, ადვილია თუ არა მართლის თქმა?...

სე. ანდრ. მანტ...

ლილია. მაგრამ თუ ვინმე გივარს და შენიშნე, რომ ცოტა არ იყოს...

სე. ანდრ. ტყუილი გამოურია?

ლილია. დიად, ცოტად... ისე... შენ უნდა გაჩუმიდე და არ ჩაჯდო ის, იმ მდგომარეობაში, რომ იძულებული იყოს ძალა-უნებურად აღვიაროს დანაშაული...

სე. ანდრ. მაშასადამე ეს დათვი, ეს თოფის სროლა, და უოკელი ეს?..

ლილია. (მორცხვებით) რასაკვირველია ჭორია!

სე. ანდრ. დიდად გმადლობო.

ლილია. დაიწეე კიდეც, დაიწეე... მაშ როგორ უნდა გელაზარაკო და როგორ არ მოგატყუილო?.. შენ კიდეც მიიდე მოკმუსხნილი სასე, — უსათუოდ მალე იმასაც იტყვი: ნიშადურის სპირტი სად არისო?.. რაღაც მტყუებს მე... სად არის სალბიო?.. წაჯალ დაწვებიო... ნუ თუ შენ გგონია, რომ ჩემთვის სასიამოვნოა სალბის მოხასჯა?.. უკაცრავად, — მე მძულს ის შენი სალბი.

სე. ანდრ. მართალი ხარ, მართალი, ჩემო მტრედო... ჩვენ ერთი სამაგლნი მოხუცი ვართ... საზიზღარი ეგოისტები და სსჯა არაფერა... ნუღარ მეტყვი ნურაფერს, — ჩვენ სამაგლები, საზიზღარნი ვართ... ჩვენ მსოფლიოდ ჩვენს თავსედ ვზრუნავთ, მსოფლიოდ ჩვენს თავსედ... შენ კი ცხრამეტა წლისა ხარ, სულღჯან, გული ძალსედ გიცმის... გამოსმარებებს ისევეებს... ჩვენ

უნდა გვიხაროდეს ეს, ჩვენ-გი ბატონივით ვიბერებით... ამის შემდეგ არ მოგეშვები ასე, არას დროს, არას დროს...

ლილია. ბიძა ჩემო, მაგრამ განა...

სე. ანდრ. მხალხად ესლა მინც მითხარი ყველაფერი მართლად, — ყველაფერი, ყველაფერი, არაფერი არ დამალა...

ლილია. (დავადება) სიტყვას მამლეკ, არ მოიჭმუნებები?

სე. ანდრ. არა, ჩემო ბუღბუღო, არა, — მსიარულად ვიჭმუნები, მსიარულად...

ლილია. ცხვირსაც არ მოიხრც ისე... მე არ შემიძლიან გიტყვი, როდესაც შენ ცხვირს იხრცავ; თითქო ცრემლები მოგდის თვალებზე.

სე. ანდრ. ვეცდები, ვეცდები...

ლილია. ასე ბიძა ჩემო... საყვარელო ბიძა... (ჭკოტნის) აი როგორ მოხდა... ერთი თვეა მას აქეთ...

სე. ანდრ. სრული ერთი თვე!

ლილია. (ამოხსუნით) დაიღ!.. რას იხამ! — ამას ხომ ვერ გამოსცვლი... სრული თვეა და კიდევ მეტიც — ოც-და თოთხმეტი დღეა მას აქეთ... თქვენ ორივეს გუძინათ ნასადილეგს... სადამოს ჟამს მე ვიყავი ტეის პირას... ცისკარი კარგად წამოწითლებულიყო და ბუღბუღლაც იწყო ჭიკჭიკი, მე გვრძობდი რაღაც თავისუფლებას და სიმძვინიერეს... მე გვრძობ, პოეტები იმისთანა წუთში ლექსებს სსსაკენ. მე პოეტი არა ვარ... მე არ შემიძლიან თხზვა, ბიძა ჩემო, მაგრამ შემიძლიან გვრძობა და ისე... ახ, ნეტავ იცოდა შენ, რა გვრძობა მაქვს მე!!

სე. ანდრ. მერე შესვდი იმას?

ლილია. პირველად შევერთი... მაგრამ ჩავატყვერდი თუ არა კეთილ თვალებში — იმანაც გაშიღიმა. მაშინ ვიფიქრე: ძმას!... ეს ჩემი ძმას-მეთქი... და ისე შინაურულად დაკუნწეთ ერთმანეთს საუბარი, თითქო დაბადებულად ერთად შეზრდილი გეოფილიყოთ... და იმდენ ხანს ვილაშაჩაკეთ, რომ მე ჩაიხუდ დამიკვიანდა...

(დასასრული იქნება)

## ფ. მ. ს. ტ. ა

ს. მ. ნ. ი. კ-ძეს თქვენის კითხვის პასუხს პირველ გვერდზედ „თუ-  
 ატრის“ განცხადებაში, შეუტყობთ.

ქუთაისი. დ. ბ-ძეს. ზოგი მართალია, ზოგი არა. ბანკი არაფერ-  
 შია, საქმის მწარმოებლობაზე არის ყველაფერი დამოკიდებული. გმადლობთ.

ბაქო. პ. ს-ოვს კარიკატურული სურათები წარსულის წლის № 47-დამ  
 ყოველ ნომერში არის. მანის თავის მკვლევლობაზე, ახალგაზდა აფიცრებაზე  
 და „ივერია“ და „ლისტოკაზე“ ცოცხალად დარჩა.

სიღნაღი. ს. ა-შვილს. ვერ დაგებჭდავთ... იმიტომ რომ ყარაუღე-  
 ბი გაგვროზგავენ და, ესეც რომ არ იყოს, ჩვენ გვისწავლია: რეგენმა,  
 რომ საქმე წაანდინოს—ფათერაკისა ბრალი არ არის.

სიღნაღი. ჩ-ძეს. რსეთს ნურას ჩაიდენთ, რომ თქვენის „ჩესტისათვის“  
 საშიში იყოს, თორემ ჩვენ რომ არ „ჩაგნაჯოთ“,—სხვები იტყვიან. წრუწუნა  
 თავგები დააფთხეთ, ჩვენ არ გვეშინიან; ამას ამ ცოცხალ სანში დაგიმტკი-  
 ცებთ.

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნიბიშიძე.

## საქართველოს კალენდარი 1889 წ.

მედკენილი და გამოცემული ვალ. გუნიას მიერ  
 ფასი ცხრა შაური

ისეიდება თბილისში, წერა-კითხვის სასოვ. წიგნთ  
 საცაბუმი; ქუთაისში—ჭილაძესთან და წერეთელთან, სონ-  
 ში—წერეთელთან, ფოთში—ნოდისთან და ბათუმში.

Доз. ценз. Тифл. 27 Января 1889 г. Типог. Гр. Чарквиани